


საქართველოს პირველი არხი

 | ITV.GE

ანგარიში 2020



საქართველოს პირველი არხი



საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ

საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც სამაუწყებლო ინსტიტუციას, სამაუწყებლო პოლიტიკა, სრულიად განსაკუთრებულ როლს ანიჭებს არა მხოლოდ ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, არამედ იმ პერსპექტივაში, რომლითაც, ზოგადად, სოციალურ სივრცეში მედია მოიზრება, როგორც საზოგადოებრივი ინჟინერიის ფორმა.

საზოგადოებას შესთავაზოს პოლიტიკური და კომერციული გავლენიდან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი პროგრამები და გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსება - მაუწყებელს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, კომერციული ტელეკომპანიებისგან განსხვავებით, შექმნას საზოგადოებისთვის ღირებული და საჭირო პროდუქტი. საზოგადოებრივ მაუწყებელს ეს რესურსი ანიჭებს პასუხისმგებლობას, რომ არ გადაუხვიოს ამ ძირითად სტრატეგიას.

სამაუწყებლო პოლიტიკით განისაზღვრება მაუწყებლის საქმიანობა - ა) გახდეს მთავარი სადისკუსიო სივრცე საქართველოს მოსახლეობისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა, დისკუსია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით. ბ) პიზირი დული ომის ვითარებაში მაუწყებელმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს ყალბი ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად; ამავე დროს უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული პრობლემის შესახებ. გ) მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს გამორჩეული მედიასაშუალება, რომელიც ავითარებს და ამკვიდრებს საკუთარ მიდგომებს და მომსახურების მაღალ სტანდარტებს, იზიდავს მომხმარებლებს ინოვაციის, სიახლის, წინსვლის ხელშეწყობითა და წარმოჩენით. დ) მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, რომ წარმოებული თუ შესყიდული ნებისმიერი პროდუქტი საუკეთესო იყოს შესაბამის ჟანრში, ხოლო თითოეული პლატფორმის პროდუქციის მთელი სპექტრი გამოირჩეოდეს კონკურენტებისგან.



საქართველოს პირველი არხი



მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ

მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ

რამდენადაც საზოგადოებრივი მაუწყებელი საჯარო დაფინანსებით სარგებლობს, იგი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე „საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ“ უფლებას აძლევს და ავალდებულებს სამეურვეო საბჭოს, საზოგადოებას საჯარო განხილვისთვის წარუდგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების პროექტი (კანონის შესაბამისი მუხლებია: მე-16, მე-20, 21-ე, 33-ე, 55-ე [1]).

სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტები ეფუძნება რამდენიმე წყაროს: საქართველოს კანონმდებლობა, მაუწყებლის მიმართ დამოკიდებულების შესახებ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, ქართულ მედიასთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული ალტერნატიული კვლევები, მედიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლობის სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილება.

წინა წლების პრიორიტეტებისაგან განსხვავებით, 2018-2021 წლის პრიორიტეტებს თან ახლავს შეფასების ინდიკატორები, რომლებიც შეფასების ზოგად სურათს, რა თქმა უნდა, ასახავს, მაგრამ, დასახვეწია და საჭიროა მათი მკვეთრ ფორმულირებათა ჩარჩოში მოქცევა (ვგულისხმობთ შეფასებათა კრიტერიუმების შევსებას ვიზუალური, აუდიალური, ვერბალური, კინესთეტიკური საკომუნიკაციო პარამეტრებით).

პროგრამული პრიორიტეტები განკუთვნილია სამწლიანი პერიოდისთვის და მოიცავს 2018-2021 წლებს, თუმცა ამ სამი წლის განმავლობაში მოსალოდნელია დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების შეტანა მისი შემდგომი განვრცობის მიზნით.

2021 წელს, სამეურვეო საბჭო შეიმუშავებს შემდგომი წლების პრიორიტეტებს, რომელსაც საფუძვლად დაედება 2019-2020 წლების მენეჯმენტის საქმიანობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის შესახებ სამეურვეო საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტები და კვლევები.

გაუწყებლის ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტები ომდევეო ვ წლის განმავლობაში

სამეურვეო საბჭო ბიუჯეტის დამტკიცებისას და სხვა გადაწყვეტილებების მიღებისა, პირველ რიგში, ხელმძღვანელობს შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:

- 1. საყოველთაო წვდომა: გაუწყებლის ყველა პლატფორმისა და პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა როგორც კომბინირებულ მაჩვენებლებში (სატელევიზო, რადიო და მულტიმედიური არხები), ასევე ცალკე, პირველი არხის მაყურებლების მაჩვენებლებში.
- 2. საყოველთაო მომსახურება: მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე აუდიტორიის მომსახურება. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მომსახურებისთვის, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის მომსახურებისთვის.
 - 2.1 თანაბრად ემსახურება სხვადასხვა სამომხმარებლო ქვეყნის მსხვილ სოციალურ ჯგუფებს (სოციოლოგიური კვლევებით დადგენილი მსხვილი ჯგუფები).
 - 2.1 მზარდად უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა მცირე ჯგუფის რეპრეზენტაციას საკუთარ პროდუქციაში.
- 3. თვალთახედვების მრავალფეროვნება: საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მოსაზრების, ფასეულობის და საჭიროების ასახვა და წარმოჩენა.
- 4. საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, ანალიტიკური პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;
- 5. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის (საგანმანათლებლო, გასართობი, სხვა) პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა. ამავე დროს, 2018 წლის განმავლობაში გაუწყებელმა სპეციალისტების თანამონაწილეობით უნდა შეიმუშაოს ამგვარი პროდუქციის წარმოების და შესაბამის პლატფორმებზე განთავსების სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება;
- 6. მულტიმედიური მეთოდების ეფექტიანად გამოყენება პროდუქციის წარმოებისა და გავრცელებისთვის; ალტერნატიული პლატფორმების აუდიტორიის და მათ მიერ გავრცელებული პროდუქციის ოდენობის და მრავალფეროვნების ზრდა;
- 7. პროდუქციის ხარისხის, მრავალფეროვნების და ზეგავლენის წლიდან წლამდე ზრდა, მათ შორის, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციის სანდოობის ზრდის უზრუნველყოფა.
- 8. არქივი - გადაიდგას სასწრაფოდ ქმედითი ნაბიჯები უნიკალური საარქივო მასალების (დაცვა, გაციფრვა) შენარჩუნების მიზნით.



გაუწყებლის შინაარსობრივი პრიორიტეტები

საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის და სხვა შესაბამისი თემატიკის პროდუქციამ მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შექმნან საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებზე და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მათზე. პროდუქციაში აისახოს: ა) სოციალური პრობლემები, განსაკუთრებული აქცენით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე ბ) რიგითი მოქალაქის პრობლემები; გ) საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები/ პროცესები: ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები, სხვა.; დ) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები; ე) ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა მათ შორის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება; ვ) საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები და პროცესები; ზ) უცხოეთში მიმდინარე მოვლენები; თ) საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობაზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე; ი) საქართველოს რეგიონებში მიმდინარე სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ამსახველი პროცესები; კ) ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები; ლ) სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები.

საზოგადოებრივი გაუწყებლის ერთ-ერთი ვალდებულებაა ჟურნალისტური გამოძიება. ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტების წარმოება და შექმნა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა სწავლებაზე, პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებაზე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების და მდგომარეობის შესახებ;

მედიაპროდუქტის შექმნისას ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შრომითი უფლებები, უსაფრთხოების ნორმები და მომხმარებელთა უფლებები. ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტის წარმოების და შექმნის დროს უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების დაუცველი ჯგუფების მომსახურება.

საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების, ყოფის, საჭიროებების, პრობლემების, წარმატებების, მნიშვნელოვანი თარიღებისა და სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების ამსახველი მედიაპროდუქტის მომზადება საზოგადოებრივი გაუწყებლის მიერ 2017 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მედია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ქართული დოკუმენტური ფილმების შიდა და გარე წარმოების ზრდა, საზოგადოებრივმა გაუწყებელმა სეზონის მანძილზე გარკვეული პერიოდულობით შესთავაზოს მაყურებელს ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი.

მოზარდების მონაწილეობით მედიაპროდუქტის მომზადება მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

მედიაპროდუქტის მომზადება ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და გარემოსდაცვის საკითხებზე.

სპორტული გადაცემების მომზადება, შესყიდვა და ტრანსლირება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება.



წლის მთავარი გამოწვევა - COVID-19

საანგარიშო პერიოდში, საქართველო, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, დადგა ახალი რეალობის - კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის და მასთან დაკავშირებული საფრთხეების წინაშე.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭაროდ კერძო ორგანიზაციებს, შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოუხდათ სამუშაო გარემოს შეცვლა და ადაპტირება ახალ რეგულაციებთან. ცხადია, მიმდინარე მოვლენებმა გავლენა იქონია მედიაზეც. მისთვის დამახასიათებელი მაღალი კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში, მთელი წლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებელი ზედმიწევნით ასრულებდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ადგილობრივი შესაბამისი სტრუქტურების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, როგორც თანამშრომელთათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო პირობების შეთავაზების, ასევე, ვირუსის გავრცელების პრევენციის ხელშეწყობის კუთხით.


პანდემიამ, მუშაობის რეჟიმის გარდა, გავლენა მოახდინა მაუწყებლობის შინაარსობრივ მხარეზეც. ახალი და მიმდინარე ამბების ძირითადი თემატიკა კორონავირუსის გავრცელება და მისი პრევენცია, პანდემიით გამოწვეული პრობლემები და ანტიკრიზისული ღონისძიებები იყო.

მკაცრი რეგულაციების მოქმედების პირობებში, პრევენციული ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს პირველმა არხმა დროებით შეაჩერა გადაცემების ნაწილი, შეიზღუდა სტუმრების რაოდენობა და აუდიტორიის დასწრება. თანამშრომელთა ნაწილი დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა. სამსახურებრივი მოვალეობიდან დროებით გათავისუფლდნენ რისკჯგუფებში შემავალი პირები.

კორონავირუსსა და ქვეყანაში დადგენილ რეგულაციებზე ინფორმაცია აუდიტორიას მიეწოდებოდა ეთნიკური უმცირესობების ენებზეც.

საანგარიშო პერიოდში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენდა არჩევნების სრულყოფილი გაშუქება პანდემიის პირობებში.

უსაფრთხო გეგმა



პირველი არხი-თელესკოლა

2020 წელს პანდემიის გამოცხადებისთანავე, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც დღეს „ტელესკოლის“ სახელით არის ცნობილი. პროექტის მიზანი იყო პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების პირობებში განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოსწავლეთათვის, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა ინტერნეტთან, რაც შეუძლებელს ხდიდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლას. პროექტი 2020 წლის 30 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის პლატფორმაზე გაეშვა ეთერში.

2020 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით, პირველი არხი - ტელესკოლის მიერ, სრულად მომზადდა 2020 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი გაკვეთილები ყველა საგანში, ყოველი კლასისთვის. მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილები გათვალისწინებული იყო ეროვნული უმცირესობისთვის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის უზრუნველყოფილი იყო სურდო თარგმანი.

პროექტმა „თელესკოლა“ არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციის აღიარებას მოიპოვა.

„OECD - თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ“ გამოაქვეყნა ჩარჩო-დოკუმენტი, სადაც კორონავირუსის გამო შექმნილი გამოწვევების დასაძლევად, განათლების მიმართულებით შექმნილი პროგრამა „ტელესკოლა“ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად იყო შეფასებული. ეს არის პროექტი, რომელიც ზუსტად ეხმიანება ქვეყნის და ორგანიზაციის უმთავრეს პრიორიტეტს - განათლებას (ქვეყანაში განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია). ეს მასშტაბური პროექტი პირველი არხის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა.

3114 გაკვეთილი 1 წლის განმავლობაში!



მიმდინარე წლის შეფასება არ ხდებოდა სატელევიზიო რეიტინგებით, თუმცა, არაერთი ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ ტელეგაკვეთილები მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან სასწავლო რესურსს წარმოადგენდა. ამას ადასტურებს სოციალურ ქსელის სტატისტიკაც, რადგან მილიონობით ნახვა აქვს გაკვეთილებს როგორც საიტზე Itv.ge, ასევე, ფეისბუქ და იუთუბ არხებზე.

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის [კვლევაში](#), რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელდა, ღმომინდა, რომ 6-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც 2020 წლის მარტში საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის შემდეგ უყურებდნენ სატელევიზიო გაკვეთილებს, 57.3% შეადგენს ქალაქში, ხოლო 60%-ს რეგიონებში.
- ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision“-ის მიერ ჩატარდა კვლევა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 26% ამბობს, რომ 6-დან 18 წლამდე ბავშვები სასწავლო რესურსად იყენებენ ტელესკოლას.

2020 წლის განმავლობაში, ტელეგაკვეთილების პარალელურად მომზადდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ემსახურებოდა მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული პროექტები მომზადდა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, როგორებიც არიან: „გაეროს ბავშვთა ფონდი- UNICEF“; „გაეროს მოსახლეობის ფონდი - UNFPA“; „გერმანული საერთაშორისო შემნახველი ბანკების ორგანიზაცია“.

2020 წლის „ტელესკოლის“ 8 განსხვავებული პროექტი

- „ხალხური სიმღერის გაკვეთილები“;
- „მუსიკის გაკვეთილები დათო ევგენიძესთან ერთად“;
- „ლიტერატურული ფრაგმენტები“;
- „მათემატიკის დრო“;
- „ინგლისური ყველათვის“;
- „ქართული ჟესტური ენის გაკვეთილები“;
- „როგორ გავაკეთოთ“;
- „ჩვენი საქართველო“;



პირველი არხი ტელესკოლა

2021 წლის პროგრამული პრიორიტეტები - ტელესკოლა

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ტელესკოლის 2021 წლის პროგრამული განვითარების სტრატეგია სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

განათლების პოპულარიზაცია და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსის მიწოდება საზოგადოებისათვის:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული პროგრამის და დამხმარე სასწავლო რესურსის წარმოება;
- მასწავლებლებისა და მშობლებისათვის მოსწავლის პრობლემებზე ორიენტირებული სადისკუსიო სივრცის შექმნა;
- შემეცნებით-საგანმანათლებლო და შემეცნებით-გასართობი პროექტების მომზადება სხვადასხვა ასაკობრივი სამიზნე აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით;
- შემეცნებითი და პოპულარულ-სამეცნიერო დოკუმენტური ფილმების წარმოება;
- ეროვნული უმცირესობებისათვის და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირებული პროგრამების წარმოება.

შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების განვითარებისათვის საჭირო პლატფორმის შექმნა ახალგაზრდებისთვის:

- საკონკურსო და სადისკუსიო პროექტების მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენას და მისცემს მათ საკუთარი ნიჭის წარმოჩენის საშუალებას;
- ნიჭიერი სტუდენტებისათვის სივრცის შექმნა, სადაც მოხდება შემოქმედებითი, ინოვაციური და ექსპერიმენტული პროექტების განხორციელება;

სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია:

- ახალგაზრდული სპორტული თოქ-შოუების მომზადება;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა სხვადასხვა სპორტული აქტივობებისა და რეკომენდაციების საშუალებით;
- შემეცნებითი და სასწავლო სპორტული პროექტების მოზადება;

განვითარების ეს პრინციპი დაფუძნებულია საყოველთაოდ აღიარებულ STEM და SOFT SKILLS სწავლების სისტემებზე და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ტექნოლოგიური, ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობას.




არჩევანი 2020

31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, ხოლო 21 ნოემბერს მეორე ტური გაიმართა. საქართველოს პირველმა არხმა უზრუნველყო როგორც კვალიფიციური, ასევე, არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების გაშუქება და დებატები.

პირველმა არხმა, ასევე, ჩაატარა [წინასაარჩევნო მონიტორინგი](#), რაც არჩევნების დაბალანსებული გაშუქების დამატებით მექანიზმს წარმოადგენს.

კომუნიკაციების კომისიამ პირველი არხის მიერ საარჩევნო კამპანიის გაშუქებას დადებითი შეფასება მისცა. კომისიის მიერ გამოქვეყნებულ [მედიამონიტორინგის](#) ანგარიშში ნათქვამია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდი მიუკერძოებლად და უურნალისტური სტანდარტების სრული დაცვით გააშუქა.



მაუწყებლის გაშუქების ნეიტრალური ტონი უთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის ანგარიშშიც აღინიშნა.



დებატები 2020

საქართველოს პირველმა არხმა საანგარიშო და წინასაანგარიშო პერიოდში განახორციელა პროექტი **დებატები 2020**. მაუწყებლობის შესახებ კანონი და საარჩევნო კოდექსი საზოგადოებრივ მაუწყებელს საარჩევნო პერიოდში ვალდებულებებს აკისრებს მხოლოდ კვალიფიციურ სუბიექტებთან

დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, **პირველმა არხმა** ყველა პლატფორმა არაკვალიფიციურ სუბიექტებსაც დაუთმო. **პირველმა არხმა** სუბიექტების მონაწილეობის თანმიმდევრობა ღია [წილისყრით](#) განსაზღვრა, რომელშიც 18 კვალიფიციური და 41 არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა. საერთო ჯამში, დებატებში მონაწილეობა მიიღო 42-მა საარჩევნო სუბიექტმა, მათ შორის 13-მა კვალიფიციურმა და 29 არაკვალიფიციურმა სუბიექტმა. დებატებში მონაწილეობაზე უარი თქვა ოთხმა კვალიფიციურმა და ამდენივე არაკვალიფიციურმა სუბიექტმა. საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების გამო, დებატებში მონაწილეობა ვერ მიიღო ცხრა საარჩევნო სუბიექტმა. მთლიანობაში კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების დებატებს 4-4 გადაცემა მიეძღვნა. დებატები გადაიყვანა პრაიმთაიმში - 22:30 საათზე. თითოეულ დებატს 90 წუთი დაეთმო. დებატებში მონაწილე კანდიდატებს კითხვებზე პასუხის გასაცემად თანაბარი დრო ჰქონდათ. ფორმატი შედგებოდა რამდენიმე რაუნდისგან. დებატებს უძღვებოდნენ: გიორგი გვიმრაძე და მაკა ცინცაძე, მონაწილე კანდიდატის შერჩევა კი თავად პარტიის პრეროგატივა იყო.



საარჩევნო პროგრამების კრეზენტაცია

28 სექტემბერს კენჭისყრის საფუძველზე, ასევე, დადგინდა სუბიექტების პრეზენტაციებისთვის გამოყოფილი ტელე და რადიოეთრის რიგითობა.

პირველმა არხმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ სუბიექტს მიმართვისთვის შესთავაზა ეთერი **მოამბის** მთავარ, 21:00-საათიან გამოშვებაში. 30 სექტემბერიდან, **მოამბის** მთავარ გამოშვებაში, მინიმუმ ორი სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელს დაეთმო დრო, ჯამში 10 წუთი (თითოეულს 5 წუთი).

მოამბის მთავარ გამოშვებაში 5-წუთიანი პირდაპირი ეთერით ისარგებლა 45-მა საარჩევნო სუბიექტმა. პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა 6-მა სუბიექტმა, ხოლო საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების გამო, საეთერო დრო არ დაეთმო რვა სუბიექტს.

საარჩევნო სუბიექტებს, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ **საქართველოს რადიოს** პროექტში **არჩევნები 2020**. გადაცემა ეთერში გადიოდა ყოველ სამუშაო დღეს 14:00 საათზე. ყოველ სუბიექტს დაეთმო 10 წუთი.

რადიოპროექტის ფარგლებში პრეზენტაცია გამართა 43-მა სუბიექტმა (13 კვალიფიციური და 30 არაკვალიფიციური). პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა შვიდმა სუბიექტმა (ოთხი კვალიფიციური და სამი არაკვალიფიციური). ცხრა საარჩევნო სუბიექტი **პირველი არხის** წილისყრაში მონაწილეობდა, თუმცა შემდეგ ცესკო-მ მათი რეგისტრაცია გააუქმა.

არჩევანის გაშუქება

31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა. ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურმა არჩევნების პროცესი 21-საათიანი უწყვეტი ეთერით გააშუქა.

მოამბის გადამღები ჯგუფები საარჩევნო პროცესს საქართველოს ყველა რეგიონში აშუქებდნენ. **პირველი არხის** ყველა პლატფორმით აუდიტორია ოპერატიულ, გადამონმებულ და დაბალანსებულ ინფორმაციას იღებდა.

ეკიდემიოლოგების რეკომენდაციების დაცვით მუშაობდნენ პირველი არხის თანამშრომლებიც.

ასევე, უწყვეტი ეთერით გაშუქდა 21 ნოემბერს გამართული არჩევნების მეორე ტური.

პირველი არხის ახალი და მიმდინარე ამბების სამსახური ოპერატიულად, დაბალანსებულად და ყოვლისმომცველად აშუქებდა ხმის მიცემის შემდეგ პერიოდსაც - ხმის დათვლასა და შეჯამებას. ამ პერიოდში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა დიპლომატების შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებები. **პირველმა არხმა** განახორციელა გაერთიანებული ოპოზიციის აქციების პირდაპირი და უწყვეტი ეთერით გაშუქება. ნოემბერში მიმდინარე აქციების გაშუქებას **პირველმა არხმა** მიუძღვნა სპეციალური და არასტანდარტული ქრონომეტრაჟის არაერთი გადაცემა. გაერთიანებული ოპოზიციის აქციების პირდაპირი გაშუქების დრომ თითქმის 21 საათი შეადგინა.

2020 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგები

პირველი არხის და **საქართველოს რადიოს** საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის [მონიტორინგი](#) პირველი სექტემბერიდან მიმდინარეობდა და მიზნად ისახავდა მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი წარმოებდა სპეციალურად შექმნილი პროგრამის (TVAnalytics) საშუალებით.

მონაცემები გაიზომასაერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკის შესაბამისად. საარჩევნო სუბიექტების გარდა, ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის, პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობის გაშუქების შედეგები.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს:

- საინფორმაციო პროგრამებში საარჩევნო სუბიექტები შექდებოდა მათი აქტივობების შესაბამისად;
- ანალიტიკურ გადაცემებსა და თოქ-შოუებში მეტი აქცენტი გაკეთდა იმ პარტიების გაშუქებაზე, რომლებიც პოლარიზებული საარჩევნო და მედიაცარემოს პირობებში ამომრჩეველთა ყურადღების მიღმა დარჩნენ;
- ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ნეიტრალურია.

მონიტორინგის ფარგლებში გამოქვეყნებული ანგარიშები:

- პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის [ანგარიში](#) (1.09.20 - 10.10.20)
- პირველი არხის და საქართველოს რადიოს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის [ანგარიში](#) (პირველი სექტემბერი-30 ოქტომბერი)
- „მოამბე“ - საპარლამენტო არჩევნების [მონიტორინგის შედეგები](#) (პირველი ნოემბერი-30 ნოემბერი)

სამეურვეო საბჭოს შეფასება

პირველი არხის მიერ წინასაარჩევნო გაშუქება, ასევე, შეფასა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ. [გამოქვეყნებულ დოკუმენტში](#) საბჭომ შეფასა 21-საათიანი მოამბე და საარჩევნო დებატები.



კომუნიკაციების კომისიის მედიამონიტორინგის შეფასება

საანგარიშო პერიოდში, კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედიამონიტორინგის მორიგი [ანგარიში](#) გამოაქვეყნა. კომისიის დასკვნით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდში მიუკერძოებლად და შურნალისტური სტანდარტების სრული დაცვით გააშუქა.

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის შეფასება

საქართველოს პირველი არხის გაშუქების ნეიტრალური ტონი ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშშიც აღინიშნა.

ევროკავშირის (EU) და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მედიამონიტორინგის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირმა (EU) და გაერო-ს განვითარების პროგრამამ (UNDP) გამოაქვეყნა მედიამონიტორინგის [ანგარიში](#). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დაფინანსებითა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ეგიდით, მედიამონიტორინგს სამი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებდა - საქართველოს შურნალისტური ეთიკის ქართია, „ინტერნიუს საქართველო“ და CRRC-საქართველო. მედიამონიტორინგი მოიცავდა 12 ტელევიზიას, 10 რადიოს, რვა გაზეთსა და 13 ონლაინ გამოცემას.

დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციად მისი შინაარსის აღქმა დაუშვებელია. ამასთან, სწორედ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებებს არ დაეთანხმა საზოგადოებრივი მაუწყებელი და შურნალისტური ეთიკის ქართიის ანგარიშთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებს [მიმართა](#). მიმართვაში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი დასკვნები არ ეფუძნება დაკვირვების შედეგს და რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობაში მოდის მასთან. ანგარიშში მოტანილი შეფასებები არ ეხმიანება ამავე დოკუმენტში მოტანილ ფაქტობრივ მონაცემებს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი სრულ ნდობას უცხადებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიუკერძოებლობას და სამართლიან მიდგომას.



საქართველოს პირველი არხი

თავდასხმა პირველ არხზე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პირველი არხი პოლიტიკოსების ნაწილის მხრიდან თავდასხმის ობიექტი კვლავ გახდა. მაშინ როდესაც ქვეყანაში საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა საკონსტიტუციო დონეზეა გარანტირებული, მაუწყებელს აქვს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა და ყველა პოლიტიკურ ძალას აშუქებს თანაბრად, ოპოზიციის ნაწილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტი გააკრიტიკა და არჩევნების შემდეგ მისი გაუქმება დააანონსა.

ცილისწამება და უსაფუძვლო ბრალდებები პირველი არხის მისამართით პირველი შემთხვევა არ არის. დეზინფორმაციის კამპანია განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში გამძაფრდა.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა [მიმართა](#) საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს საქართველოში, დიპლომატიურ კორპუსს, ევროპის მაუწყებელთა კავშირს (EBU) და მოუწოდა, ყურადღებით დააკვირდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესების დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის შურნალისტებზე ზემოქმედების, დაშინებისა და მათ საქმიანობაში უხეში ჩარევის უტყუარ ფაქტებს.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ კატეგორიულად მიუღებელია მედიის წარმომადგენლების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება და [მუქარის კამპანია](#). ნათელია, რომ ეს [უსაფუძვლო ბრალდებები](#) მიზნად ისახავს შურნალისტების დაშინებასა და მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლას.



წლის მთავარი აქტივობები

კარანტინის პირობებში მოქალაქეთა შინ დარჩენის ხელშეწყობის და წახალისების მიზნით, განხორციელდა რამდენიმე საგანგებო პროექტი:

- **დარჩი სახლში** - გაიზიარე პასუხისმგებლობა - ვიდეომიმართვები მოსახლეობას;
- **პირველი არხი ბიზნესისთვის**;
- **პროექტი „შენი საქართველო“**;
- **დარჩი სახლში - აირჩიე შენი ფილმი შენს არხზე**;
- **„მრავალუამიერი“**;
- **შენ მარტო არ ხარ!**;
- **„რანინას“ ჰიმნი**;
- **მუსიკა არღვევს საზღვრებს - #სახლიდან - სახლში**;
- **პირველი არხი შეუერთდა კამპანიას „კაცები ზრუნავენ“**.



გადაცემამ „პირადი ექიმი“, პანდემიის პერიოდში, თავისი შინაარსის და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, 11 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით, პრაიმტაიმში გადაინაცვლა გაზრდილი ქრონომეტრაჟით და უზრუნველყოფდა საზოგადოების პროფესიონალურ ინფორმირებას კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე. 13 აპრილიდან „პირადი ექიმი“ ჩვეულ, დილის ზოლს და ფორმატს დაუბრუნდა. შეიქმნა ფეისბუქპლიკაცია „აირჩიე შენი თემა“, რომლის საშუალებით მასურებელს შესაძლებლობა ჰქონდა, ჩართულიყო გადაცემის თემის შერჩევის პროცესში.

ყოველდღიური სამედიცინო გადაცემა წლის ბოლოს გადაფორმდა და ქრონომეტრაჟი გაიზარდა. პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, შეიქმნა პირველი არხის ცხელი ხაზი, მასურებელს საშუალება ეძლევა 24/7-ზე დარეკოს მისთვის საინტერესო კითხვით. დასმულ შეკითხვებზე მაქსიმალურად ოპერატიულად პასუხობენ გადაცემის კვალიფიციური სტუმრები.

ცხელი ხაზის გახსნის დღიდან (24.12.2020) 31 დეკემბრის ჩათვლით, შემოვიდა 770 ხარი, აქედან სასწრაფო სამედიცინო დახმარება გაეგზავნა 20-მდე მოქალაქეს, განხორციელდა ცხრა ადამიანის ჰოსპიტალიზაცია, ექიმის კონსულტაცია გაენი არაერთ პაციენტს.

ფსიქოლოგიის საათი

აუდიტორიის მოთხოვნილებების და კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ახალი რეალობის გამო, მომზადდა გადაცემათა ციკლი „ფსიქოლოგიის საათი“, სადაც პირდაპირ ეთერში კვალიფიციური ფსიქოლოგი კონსულტაციას უწევს მსმენელებსა და ეხმარება მათ პანდემიით გამოწვეული სტრესის დაძლევაში.



საქართველოს პირველი არხის ახალი შენობის საძირკვებში სიმბოლური კაფსულა ჩაიდო

30 დეკემბერს საქართველოს პირველი არხის ახალი შენობის საძირკვებში სიმბოლური კაფსულა ჩაიდო. ეს თარიღი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დღეს საქართველოს პირველ ტელევიზიას 64 წელი შეუსრულდა.



მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსი

საქართველოს პირველი არხის მიერ გამოცხადებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტების მიღებას გამოეხმაურა 48 საპროდიუსერო-შემოქმედებითი ჯგუფი. გამარჯვებულად გამოცხადდა ლუიჯი პირანდელოს ნაწარმოების მოტივებზე შექმნილი პროექტი „სავსე სიცარიელე“. პროდიუსერი - კონსტანტინე (მინდია) ესაძე, რეჟისორი - ირინე ჯავახიძე.

ჟურნალისტიკის გადაგზავნა

საქართველოს პირველმა არხმა წინასწარჩევნოდ ჟურნალისტები გადაამზადა. ტრენინგებს BBC-ის ტრენერი ჯონათან სთუნენი დისტანციურ რეჟიმში ორი კვირის განმავლობაში ატარებდა.

ტრენინგი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა - მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, სიხუსტე, სამართლიანობა და ანგარიშვალდებულება.

ჯონათან სთუნენი 20 წლის განმავლობაში BBC-ის ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურში ჟურნალისტის, პროდიუსერის, რედაქტორისა და მკვლევრის პოზიციებს იკავებდა, საბოლოოდ კი BBC World Service-ის ტრენინგცენტრის ხელმძღვანელი გახდა. ამჟამად სთუნენი საკონსულტაციო კომპანია Stonepeople Media-ს მართავს.

სარედაქციო პრინციპები

პირველი არხის ჟურნალისტებმა, ჯონათან სთუნენთან ერთად, იმუშავეს სარედაქციო პრინციპების ერთიან დოკუმენტზე, რომელიც ჟურნალისტებისთვის იყო ერთგვარი სახელმძღვანელო არჩევნების გაშუქების პროცესში.



გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო გედიისთვის - ALL THINGS BEING EQUAL

2020 წლის მეორე კვარტალში ქართულ ენაზე გახდა ხელმისაწვდომი გენდერული თანასწორობის შესახებ შექმნილი დოკუმენტი **All things being equal**, რომელზეც ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენდერული თანასწორობის ჯგუფი მუშაობდა [თინათინ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით](#).



BBC- 50:50

გენდერული ბალანსის დასაცავად, საქართველოს პირველმა არხმა „ბიბისი“-სთან თანამშრომლობა დაიწყო. ევროპის ქვეყნების რამდენიმე საზოგადოებრივი მაუწყებლის შემდეგ, „ბიბისი“ მიერ ორი წლის წინ დაწყებულ პროექტს საქართველოს პირველი არხი შეუერთდა. პროექტი „50:50“-ზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას გულისხმობს.

„დისნეი“ საქართველოში

კომპანია „დისნეი“ (The Walt Disney Company) საქართველოში პირველად თანამშრომლობის კონტრაქტი პირველ არხთან გააფორმა.

საქართველოს პირველი არხი 2021 წლის იანვრიდან მაყურებელს შესთავაზებს ორიგინალურ, ლიცენზირებულ, ოფიციალური კონტრაქტით შექმნილ პაკეტს, რომელიც მოიცავს ქართულ ენაზე მაღალი ხარისხით გახმოვანებულ პროდუქციას.



კონტრაქტით გათვალისწინებულია 349 ფილმის ჩვენება. კომპანია Disney-ს გარდა, ნაჩვენები იქნება ისეთი ცნობილი კომპანიების ფილმები, როგორებიც არის - Marvel, 20th Century Studios, Lucasfilm.

GEORGIA 360 360 საქართველო

[360georgia.ge](#) ინოვაციური პროექტია, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, თავად აირჩიოს ტური და ვირტუალურად იმოგზაუროს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. პროექტის მიზანია საქართველოს წარმოჩენა, ახალი, უნიკალური ადგილების აღმოჩენა და სხვადასხვა

კუთხისთვის დამახასიათებელი კულტურის გაცნობა და პოპულარიზაცია, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამოთვალეობებისთვის.

„360° საქართველო“ მაღალი გარჩევადობის ფოტოებით უცნობი, უნიკალური ადგილების ნახვის საშუალებას გვძლევს. გადაღებები რეგიონებში ინტენსიურად მიმდინარეობს და საიტი მუდმივად ახლდება.

„რადიომუზეუმი“

25 მაისს საქართველოს პირველი არხის ახალი უნიკალური პროექტი „რადიომუზეუმი“ დაიწყო. პირველი არხის რადიოს საცავებში, ოქროს ფონდში დაცული უნიკალური აუდიო მასალა, ვებ-გვერდზე <https://1tv.ge/radiomuzeumi/> განთავსდა და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.



2020 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსი

2020 წლის ევროვიზიის გაუქმების გამო, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა წევრ ქვეყნებს შესთავაზა კონცერტი, რომელშიც ევროვიზიის წლევეანდელი კონკურსანტები მონაწილეობდნენ. მაყურებელმა ეს კონცერტი 16 მაისს პირველი არხის პირდაპირ ეთერში იხილა.

საბავშვო ევროვიზია 2020

საბავშვო მუსიკალური შოუ „რანინა“ 13 ნოემბერს გრანდიოზული ფინალით დასრულდა და კონკურსის გამარჯვებული სანდრა გადელია გახდა, რომელიც წარმატებით წარდგა 2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე გიგა კუხიანიძის სიმღერით „შენ მარტო არ ხარ“.



ოლიმპიადა „ჩვენი ქართული ენა“

საქართველოს პირველმა არხმა, პროექტის ფარგლებში, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის ქართულ ენაში ოლიმპიადა ჩაატარა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ფარგლებში, ოლიმპიადა ონლაინრეჟიმში გაიმართა. დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები.



25 ნოემბერი - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

თარღის აღნიშვნას საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის თითქმის ყველა გადაცემა შეუერთდა. მაუწყებლის შენობა სპეციალურად ამ დღისთვის წითლად განათდა.



რადიოს იუბილე - 95

23 მაისს საქართველოს რადიოს 95 წელი შეუსრულდა. პანდემიის გამო შექმნილი ვითარების მიუხედავად, იუბილე აღინიშნა და გაშუქდა საქართველოს პირველი არხის და საქართველოს რადიოს ეთერში.



გემორანდუმი რეგიონულ გაუწყებლებთან

საქართველოს პირველმა არხმა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მოქმედ რამდენიმე რეგიონულ მედიასაშუალებასთან მემორანდუმი გააფორმა. ასევე გაფორმდა მემორანდუმი რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსთან, რომელიც 29 რეგიონულ მაუწყებელს აერთიანებს.

თანამშრომლობის ფარგლებში, საზოგადოებრივი მაუწყებელი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე წარმოებულ პროდუქტს ეთერში გასაშუბად უსასყიდლოდ გადასცემს რეგიონების რამდენიმე ტელევიზიას: ტელეკომპანია „ფარვანას“, ATV 12-სა და მარნეულის ტელევიზიას.



საქართველოს პირველი არხი



მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ

საქართველოს პირველი არხი გადაცემა - 2020 წელი 37 ქართული ორიგინალური პროდუქტი

1. ახალი დღე
2. დღის კოდი
3. პირადი ექიმი - მარი მალაზონია
4. ტაიმუტი
5. მოამბე
6. დღის თემა
7. ახალი კვირა
8. თავისუფალი ხედვა
9. 42 პარალელი
10. აქტუალური თემა
11. კვირის ინტერვიუ
12. ბიზნესპარტნიორი
13. ბიზნესპარტნიორი (ოთხეული)
14. რეალური სივრცე
15. გამომძიებელი რეპორტიორი
16. ვაშინგტონი დღეს
17. რანინა
18. აკუსტიკა
19. ქართული ანიმაცია - მაშველები
20. ქართული სერიალი - იდეალური დედა
21. ქართული სერიალი - ქიმია
22. ქართული სერიალი - სეანსი
23. მასტერშეფი
24. რა? სად? როდის?
25. წიგნების თარო (სტუდენტური)
26. წიგნების თარო (სასკოლო)
27. მარტივი ლოგიკა
28. ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?
29. დოსიე
30. მუსიკის 12 მოციქული
31. შენი საქართველო
32. ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ
33. ექსპონატიტ მოყოლილი საქართველოს ისტორია
34. ფერმა
35. კაცები
36. დაკარგული წიგნები
37. ჩვენი საქართველო



ახალი პროექტები 2020

გაგველავი

სექტემბერში პირველმა არხმა მაყურებელს წარუდგინა ტექნოლოგიურად ძალიან მაღალი ხარისხის საბავშვო ანიმაციური სერიალი, რომელიც შემეცნების თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი პროდუქტია და ანალოგი არ აქვს საქართველოს ტელევიზორებში.



ქიშია

პირველი არხის ახალ სეზონზე, სექტემბერში დაიწყო სატელევიზიო დრამა „ქიშია“, რომელიც მოგვითხრობს ონკოლოგიით დაავადებული ქალების შესახებ, მათ პრობლემებსა და ყოფაზე. სერიალმა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია.



ვოისი

წლის ბოლოს მსოფლიოში ყველაზე რეიტინგული მუსიკალური მეგამოუ „ვოისის“ შესარჩევი ტურები და მოსამზადებელი ტექნიკური საშუალებები დასრულებულია.



სეანსი

ნოემბრიდან პირველი არხის ეთერში განთავსდა მხატვრული სერიალი „სეანსი“. პროექტს მუხეცხელი „NOVA პროდაქშენთან“ ერთად აწარმოებდა.



სერიალი 45 სერიისგან შედგება და მასზე რეჟისორმა თინათინ გურჩიანმა იმუშავა. სერიალში მთავარ როლებს ასრულებენ: რეზო ჩხიკვიშვილი, ნინო კასრაძე, ნატალია ყულოშვილი, პაატა ინაური, სალომე თოფურია, კატო კალატოზიშვილი, გიორგი შარვაშიძე, ია სუხიტაშვილი, მიხეილ გომიაშვილი.

დღის კოდი

7 სექტემბრიდან პირველი არხის ეთერში დაიწყო ინტელექტუალურ-შემეცნებითი გადაცემა, სადაც ყოველდღიურად, 16:30 საათიდან 18:00-მდე, წამყვანები, საინტერესო სტუმრებთან ერთად, საუბრობენ კულტურაზე, ხელოვნებაზე და მრავალ საინტერესო და აქტუალურ თემაზე.



საახალწლო მიუზიკლი

2020 წლის სექტემბერში პირველმა არხმა დაიწყო საახალწლო მიუზიკლის შესაქმნელად მზადება და შოუს პრემიერა წარმატებით შედგა სადღესასწაულო საახალწლო ღამის ეთერში.



მთავარი სპორტული მოვლენები

- უეფა-ს 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი ოფის ნახევარფინალის მატჩი - საქართველო-ბელარუსი (8 ოქტომბერი);
- ისტორიული მატჩი - ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელი მატჩი საქართველოსა და მაკედონიის ნაკრებებს შორის;
- ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში - ექსკლუზიურად საქართველოს პირველი არხისა და ტელევიზორის მაყურებლისთვის;
- უეფას ქალთა ჩემპიონთა ლიგის მატჩი - „ლანჩხუთი“ - „როზენგარდი“ (9 დეკემბერი); აღსანიშნავია, რომ პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, გუნდმა იასპარეზა ჩემპიონთა ლიგაზე;
- რეპორტაჟი 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან, საქართველო-საფრანგეთი (პირდაპირი რეპორტაჟი გორის ცენტრალური სტადიონიდან);
- ფეხბურთში უეფას ერთა ლიგის 2020-2021 წლების გათამაშების ჯგუფური ეტაპის მატჩი, ესტონეთი-საქართველო (პირდაპირი რეპორტაჟი ტალინიდან);
- ფეხბურთში უეფას ერთა ლიგის 2020-2021 წლების გათამაშების ჯგუფური ეტაპის მატჩი, საქართველო-ჩრდილოეთ მაკედონია (პირდაპირი რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენადან). მატჩის წინ და დასრულების შემდეგ ეთერში იყო „ტაიმაუტის“ სპეციალური გადაცემა;
- ფეხბურთში ერთა ლიგის 2019-2020 წლების გათამაშების ჯგუფური ეტაპის და ფინალური სტადიის მატჩები საქართველოს პირველ არხზე. მათ შორის, უმნიშვნელოვანესი მატჩები - ნახევარფინალი საქართველო - ბელარუსი და ფინალი საქართველო - ჩრდილოეთ მაკედონია;
- წყალბურთში ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშება;
- დევისის თასის გათამაშება ევრო-აფრიკულ ზონაში. პირდაპირი რეპორტაჟები თბილისის საჩოგბურთო კორტებიდან - საქართველო-ესტონეთი;
- ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები
- კალათბურთში - საქართველოს ეროვნული ნაკრების ოთხივე შეხვედრა პირდაპირი ეთერით გადაიცა.



ტელეფილმები

დასრულდა და ეთერში გავიდა

- „პირველი რექტორი“ - (ციკლიდან უნივერსიტეტის დამფუძნებლები) რეჟისორი - ბესიკ გაფრინდაშვილი, სცენარის ავტორი - არჩილ შუბაშვილი, წამყვანი - მერაბ კოკოჩაშვილი.
- „ჯამბაზის კალენდარი“ - რეჟისორი - ლევან ადამია, სცენარის ავტორები: მანანა ხიდაშელი, ზაზა ჭლარკავა.
- „ძიების პროცესი“ - თემურ ჩხეიძის მასტერკლასი - რეჟისორი - გიორგი ებრაღიძე, ავტორი - ქეთევან სადღობელაშვილი.

დასრულდა

- „კორნელი კეკელიძე“ - (ციკლიდან უნივერსიტეტის დამფუძნებლები); რეჟისორი - ბესიკ გაფრინდაშვილი, სცენარის ავტორი - არჩილ შუბაშვილი, წამყვანი - მერაბ კოკოჩაშვილი.

დოკუმენტური ფილმები - თანაწარმოება

დასრულდა

- სითეთრეში ჩაძირულები - რეჟისორი - მარიამ გულბიანი;
- ქართულ-აფხაზური პროექტის ფარგლებში „28 აგვისტოს მარიამობის ტრადიციული აღნიშვნის“ 20წთ. ეპიზოდის მასალები - პროექტის ხელმძღვანელი - ზურაბ შენგელია.

დოკუმენტური სერიალები

დასრულდა და ეთერში გავიდა

- „საიდუმლო კარტოთეკა“ (1-ელი სეზონი - 6 სერია). სცენარის ავტორი, რეჟისორი - შალვა შენგელი, მიხეილ ბასილაძე, წამყვანი - გივი ჩუგუაშვილი;
- აკა მორჩილაძის „დაკარგული წიგნები“, რეჟისორი - გიორგი ებრაღიძე (20 სერია);
- ფრონელის „დიდებული მესხეთი“ - 11 სერია;
- არნოლდ ზისერმანის „25 წელი კავკასიაში“ - 9 სერია.

დასრულდა

- „საიდუმლო კარტოთეკა“ (მე-2 სეზონი - 4 სერია). სცენარის ავტორი და რეჟისორი - შალვა შენგელი, მიხეილ ბასილაძე, წამყვანი - გივი ჩუგუაშვილი;
- „საიდუმლო კარტოთეკა“ (მე-3 სეზონი - 4 სერია). სცენარის ავტორი, რეჟისორი შალვა შენგელი, მიხეილ ბასილაძე, წამყვანი - გივი ჩუგუაშვილი;
- „ერი და პრესა“ - 10 სერია, რეჟისორი - ანდრო ჭიაურელი, სცენარის ავტორი - თამაზ ჯოლოგუა.

მხატვრული ფილმები - თანაწარმოება

დასრულდა და ეთერში გავიდა

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოქროს ძაფი“ - რეჟისორი - ლანა ლოლობერიძე;

დასრულდა

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამურაი დასვენების უამს“. რეჟისორი - ლევან თუთბერიძე; სცენარის ავტორი - აკა მორჩილაძე, ლევან თუთბერიძე;
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გვიანი შემოდგომა“ - რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე;

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები - თანაწარმოება

დასრულდა და ეთერში გავიდა

- „ჯა“ - რეჟისორი - ელდარ შენგელია;

დასრულდა

- „#26“ - რეჟისორი - გვანცა მეფარიშვილი;
- „პაპანაქება“ - რეჟისორი - თორნიკე გოგრიჯიანი;
- „გუშაგები“ - რეჟისორი - სანდრო სულაძე;
- „მეზობლები“ - რეჟისორი - დავით ბორჩხაძე;
- „მუშის კუნთი“ - რეჟისორი - ვაჟიკო ჩაჩხიანი;
- „აუზი“ - რეჟისორი - სალომე ლაცაბიძე.


სადებიუტო ფილმების კონკურსის „დაბიუტი“ ფარგლებში დაფინანსდა:

- „თანაგრძნობა“ - რეჟისორი - ზვიად ციკოლია;
- „Flyt“ - რეჟისორი - გრიგოლ ნოდია;
- „შავი ზღვა“ - რეჟისორი - თინათინ ემირიძე;



საერთოველოს რადიო 30 გადაცემა და ოთხი სპეცპროექტი

1. საინფორმაციო გამოშვება
2. ღია სტუდია
3. არჩევნები 2020
4. ბიზნესპარტნიორი
5. ესტაფეტა
6. მსოფლიოს ამბები
7. პიკის საათი
8. სახლისკენ
9. ჩაი ორისთვის
10. რადიოექსპრესი
11. კლასიკა ყველასთვის
12. წიგნის დრო
13. რადიოკალენდარი
14. სი ბემოლ ვიტამინი
15. რადიო აკუსტიკა
16. ჯაზოფრენია
17. მუსიკის 12 მოციქული
18. მთელი ეს როკი
19. გია ხადურის პოპ-გაკვეთილები
20. უცნობი მუსიკა
21. ჩაკრულო
22. ტრადიციული მუსიკა
23. ხალხური სიმღერის გაკვეთილები
24. კადენცია
25. არტნიუსი
26. ჩვენი სკოლა
27. რადიოთეატრი
28. რადიოსერიალი
29. ქართული კლასიკური მწერლობა
30. ლიტერატურული თეატრი



კოვიდ-19 და საგანგებო გადაცემები


- ფსიქოლოგის საათი;
- დაპარალელდა „პირადი ექიმი საგანგებო“;
- ეთერში განთავსდა შემეცნებითი რგოლები;
- ეთერში ოპერატიულად გადაიცივმოდა კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი

საკოორდინაციო საბჭოს განცხადებები.



ონლაინ მედია

მედია ონლაინ მედია



ანტიფეიკი - ყველა აზვავი გადაამოწმა აჲ!

საქართველოს პირველმა არხმა შექმნა პლატფორმა ანტიფეიკი, რომლის მიზანია ინფორმაციის ნამდვილობის დადგენა. პლატფორმა antifake.itv.ge ინტეგრირებული პირველი არხის ოფიციალურ ვებ-გვერდთან itv.ge. მოქალაქეს შეუძლია გამოაგზავნოს მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია და პირველი არხისგან მიიღოს გადამოწმებული, ფაქტებით გამყარებული, დასაბუთებული პასუხი, რომელიც ამავე ვებ-გვერდზე იტვირთება. ახალ პლატფორმაზე ამბები ოთხ ქვეკატეგორიაში განთავსდა:


- სიმართლე;
- დიდწილად სიმართლე;
- სიყალბე;
- აბსურდი.

მსოფლიო პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს ყალბი ამბავი. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა აღნიშნულ თემას კვლევაც მიუძღვნა და დაადგინა, რომ პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული სანდოობითა და საინფორმაციო ჰიგიენით სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლები გამოირჩეოდნენ.



ჰოდკასტი - შენი აუდიო სივრცე

სექტემბერში ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) აკადემიის მხარდაჭერით, საქართველოს პირველი არხის რადიო და ონლაინმედიის თანამშრომლებისთვის ტრენინგი ჩატარდა. შეიქმნა ვებ-გვერდი - შენი აუდიო სივრცე. ეს არის უნიკალური სივრცე, სადაც აუდიტორიას შეუძლია იპოვოს, მოუსმინოს და გადმოწეროს სასურველი აუდიომასალა. დაგეგმილია აუდიტორიის ჩართვა - მსმენელი შეძლებს ამ სივრცეში გააუქმოს/იპოვოს საკუთარი ხმა. საქართველოს რადიოს აუდიოსივრცე - ეს არის რეკლამისგან თავისუფალი უსაფრთხო მედია.



მაყურებლის უკუკავშირი

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

საიტის Itv.ge სტატისტიკა

2020	2019
ვიზიტი საიტზე - 54,128,000	ვიზიტი საიტზე - 47,423,600
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 122,800	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 83,344
საშუალოდ დღეში ვიზიტი:	129,928
148,300	მაქსიმალური მაჩვენებელი - 395,500 (21/06/2019)
მაქსიმალური მაჩვენებელი - 595,400 (01/04/2020)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 395,500 (21/06/2019)

იუთუბარხების სტატისტიკა

2020	2019
ნახვა -127,0 მლნ	ნახვა - 139,0 მლნ
საშუალოდ დღეში ნახვა - 358,700	საშუალოდ დღეში ნახვა - 380,822
მაქსიმალური მაჩვენებელი - 561,000	მაქსიმალური მაჩვენებელი - 928,000
(29 ნოემბერი 2020)	(21 ივნისი 2019)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთ-ერთი ლიდერია ქართულ მედიაში.


ფაისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 130,4 მილიონი - წინა წელთან (2019) შედარებით ნახვები მომატებულია 40.6%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 2,800,000 - წინა წელთან (2019) შედარებით მომატებულია 1,39%-ით



გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 357,629 - გაზარდილია 23.5%-ით



საქართველოს პირველი არხი




დამოუკიდებელი კომპრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

გარეწარმოების არაერთი პროექტის ფარგლებში, 2020 წლის განმავლობაში, პირველი არხი თანამშრომლობდა შემდეგ სტუდიებთან:








- შპს „ნოვა პროდაქშენი“
- შპს „ნიშნების თარო“
- შპს „ბიზნეს მედია კორპორაცია“
- შპს „შოუ მედია პროდაქშენი“
- შპს „თვ 11“
- შპს „ვესტ ანიმეიშენი“
- შპს „გიმ TV“






გარეწარმოება - 2020 წელი



შინაარსობრივი ვალდებულებები

- მონეტორინგის შედეგები





საქართველოს პირველი არხი



საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შესახებ

2020 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევები

რაოდენობრივი კვლევა, სატელეფონო გამოკითხვა. გამოკითხა 1500 რესპოდენტი. კვლევის მიზანი:

- პირველი არხის პოზიციონირება
- გადაცემების რეიტინგი
- აუდიტორიის ქვევის განსაზღვრა
- ტელეარხებისადმი მაყურებლის ნდობა
- ყურებადობა დროითი შუალედების მიხედვით
- მომზადდა ანგარიში მენეჯმენტისთვის

რადიოაუდიტორიის კვლევა ფოკუს ჯგუფების მეთოდით.

კვლევაში მონაწილეობდა 48 რესპოდენტი, სულ ექვსი ჯგუფი. კვლევის მიზანი:

- ქართული რადიოსივრცის კვლევა
- სამომხმარებლო ქვევის სპეციფიკა და რადიო
- საქართველოს რადიოსადმი მომხმარებელთა განწყობების კვლევა

რაოდენობრივი კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით (გორა ტალღა)

კვლევის მიზანი:

- პირველი არხის პოზიციონირება
- გადაცემების რეიტინგი
- აუდიტორიის ქვევის განსაზღვრა
- ტელეარხებისადმი მაყურებლის ნდობა
- ყურებადობა დროითი შუალედების მიხედვით

რაოდენობრივი კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით. კვლევის

გეოგრაფია: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი. კვლევის მიზანი:

- აღნიშნულ რეგიონებში ტელევიზორის ყურების ინტენსივობა
- სატელევიზიო სიგნალის მიღების წყარო
- ქართული არხების ტელეყურების გამოცდილება
- ქართული არხების ყურებასთან დაკავშირებული ბარიერები
- პირველი არხის გადაცემების აუდიტორიის განსაზღვრა
- პირველი არხის გადაცემების თარგმნის სურვილი არაქართულ მოსახლეობაში
- ტელესკოლა - ქართული ენის გაკვეთილების მაყურებლები

მონიტორინგის მასალის დამუშავების და ანალიზის საფუძველზე მომზადდა სხვადასხვა თემატის გაშუქების ანგარიშები:

- სპორტი - ქალები სპორტში;
- გენდერული თანასწორობა;
- შემეცნებითი მიმართულება - ისტორია;
- მრავალფეროვანი საქართველო - ინფორმაცია ეთნიკური და ენობრივი უმცირესობებისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოება - ადამიანის უფლებები;
- ეკოლოგია და გარემოს დაცვა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება, ჯანსაღი ცხოვრება და მედიცინა - კოვიდ 19;
- „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში 1-14 სექტემბრის ჩათვლით;
- „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჭრილში (1-30 სექტემბერი);
- „საქართველოს რადიოს“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჭრილში (1-30 სექტემბერი).



განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის პირველი მაისისა, საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ.

ინფორმაცია სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი” 2020 წლის განმავლობაში განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2020 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი” ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში /

კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ (შემდგომში - „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“) საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

1 | სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2020 წლის 14 სექტემბერს მომართა შპს „სფერო ჰოლდინგმა“ და წარმოადგინა ორი საჩივარი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2020 წლის 5 სექტემბერს გადაცემა „ახალი კვირის“ ანონსში და 2020 წლის 6 სექტემბერს გადაცემა „ახალ კვირაში“ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-12; მე-13; მე-15 და მე-19 მუხლების, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 16(1) მუხლის “ა” ქვეპუნქტის, 52-ე და 54-ე მუხლების, ასევე, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების კომპლექსური დარღვევის შესახებ.

თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 05.10.2020წ. გადაწყვეტილებით, საჩივრები არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს/სააპელაციო ორგანოს 30.10.2020წ. N493 გადაწყვეტილებით (იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდი), შპს „სფერო ჰოლდინგს“ უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის არსებით განხილვაზე და შესაბამისად, ძალაში დარჩა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 05.10.2020წ. გადაწყვეტილება.

2 | საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებამ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოში 2020 წლის 22 სექტემბერს წარმოადგინა ღია წერილი/საჩივარი, სადაც აღნიშნული იყო, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ მოუმი „მასტერმედი“, 2020 წლის 20 სექტემბერს, ჟიურის წევრის მიერ თავლის ინდუსტრიასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთების გამო ადგილი ჰქონდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16, 52-ე, 56-ე და 57-ე მუხლების დარღვევას.


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 12.10.2020წ. გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თუმცა, გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების მიერ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ ქართულ მეფუტკრეობასთან დაკავშირებული თემატიკით სოციალური რეკლამის წარდგენის შემთხვევაში, აღნიშნული რეკლამის ეთერში განთავსების საკითხი გადაწყდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სოციალური რეკლამა წარმოდგენილ იქნა და შესაბამისად, განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

გადაწყვეტილება თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში/სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში არ გასაჩივრებულა.

3 | სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2020 წლის 9 ოქტომბერს საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა, რათა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს შეესწავლა 2020 წლის პირველ ოქტომბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული გადაცემა „დიამეტის“ წამყვანების მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31-ე მუხლის და 33-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების სავარაუდო დარღვევის შემთხვევა და ამავე კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.

თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 27.10.2020წ. გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს/სააპელაციო ორგანოს 02.12.2020წ. N495 გადაწყვეტილებით (იხ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდი), სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და შესაბამისად, ძალაში დარჩა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 27.10.2020წ. გადაწყვეტილება.



საქართველოს პირველი არხი



სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი” თეიქნიკა და თეიქნოლოგიები

ანგარიში 2020

2020 წლის განმავლობაში, ტექნიკური გადაიარაღების გეგმის მიხედვით გრძელდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური ბაზის და რესურსების მასშტაბური განახლება და რეორგანიზაცია. კერძოდ, განისაზღვრა ზუსტი ტექნიკური მოთხოვნები, ჩატარდა ბაზრის მოკვლევა და ჩატარდა 26.5 მილიონი ლარის ჯამური ღირებულების ორმოცამდე ტენდერი. განხორციელებული მსხვილი პროექტებიდან აღსანიშნავია:

- მაუწყებლობის დაგეგმარება, ინჟესტი და ავტომატიზაცია.
